

ახდენს თუ არა გავლენას
შიშგე დაფუძნებული
გზავნილები ევროკავშირის
მიმართ განწყობებზე
საქართველოში?

ბლოგი

ახდენს თუ არა გავლენას შიშზე დაფუძნებული გზავნილები ევროკავშირის მიმართ განწყობებზე საქართველოში?
2025

ავტორები: ეთერი გაგუნაშვილი, მკვლევარი,
სალომე დოლიძე, მკვლევარი,
თინათინ ბანძელაძე, მკვლევარი

CRRC-საქართველო

1 ლიბიკო ქავთარაძის ქ. თბილისი, 0179, საქართველო

<https://www.crrc.ge>

crrc.georgia@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC-საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

ახდენს თუ არა გავლენას შიშზე დაფუძნებული გზავნილები ევროკავშირის მიმართ განწყობებზე საქართველოში?

შესავალი

საქართველოს მსგავს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გეოპოლიტიკური ნარატივები მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების იდენტობასთან, ღირებულებებთან და ისტორიულ კონტექსტთან. ბოლო წლებში შიშზე დაფუძნებული გზავნილები, რომლებიც ევროინტეგრაციას ეხება, პროპაგანდის გავრცელებულ ინსტრუმენტად იქცა. წინამდებარე კვლევა შეისწავლის, აყალიბებს თუ არა შიშის შემცველი გზავნილები საზოგადოებრივ განწყობებსა და აღქმებს ევროკავშირში გაწევრიანებაზე. კერძოდ, კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ორ გავრცელებულ ანტიდასავლურ ნარატივზე: 1. ევროინტეგრაცია საფრთხეს შეუქმნის ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებს და 2. ევროინტეგრაცია გამოიწვევს ახალგაზრდების მასობრივ მიგრაციას.

შიშზე დაფუძნებული გზავნილები, პოტენციურ უარყოფით შედეგებზე ხაზგასმით, ფართოდ გამოიყენება განწყობებსა და ქცევაზე გეგავლენის მოსახდენად (Hovland et al., 1953; Witte, 1992). ადრეული კვლევების მიხედვით, რაც უფრო ძლიერია შიში, მით უფრო ძლიერია დარწმუნების ეფექტი, თუმცა ექსპერიმენტებმა მალევე აჩვენა, რომ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. შიშის მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს თავდაცვითი რეაქციები – უარყოფა ან გზავნილის სრული იგნორირება (Janis & Feshbach, 1953). მაგალითად, ჯანისი და ფეშბახის მიხედვით, ზომიერი შიშის შემცველი გზავნილები, რომლებსაც თან ახლდა მკაფიო მითითებები (რეკომენდაცია, ინსტრუქცია), ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე უკიდურესი შიშის შემცველი გზავნილები.

თუმცა, შიშის დამარწმუნებელი ძალა იზღუდება მაშინ, როდესაც ნარატივები საზოგადოებაში უკვე მყარადაა დამკვიდრებული. როდესაც აუდიტორია გავრცელებული კონკრეტული გზავნილით და მათში რწმენები კონსოლიდირებულია, განწყობების განახლების ნაცვლად, ადამიანები საკუთარი პოზიციების დასაცავად ხშირად „მოტივირებულ მსჯელობას“ მიმართავენ (Kunda, 1990; Taber & Lodge, 2006). გარდა ამისა, შიშის შემცველი გზავნილების გავლენა დიდად არის დამოკიდებული საკითხის რელევანტურობასა და სენსიტიურობაზე. კვლევები მიუთითებს, რომ როდესაც გზავნილები საფრთხეს უქმნის ფუნდამენტურ ღირებულებებს ან იდენტობას, აუდიტორია მიდრეკილია თავდაცვისკენ და ფსიქოლოგიური სტაბილურობის შესანარჩუნებლად საფრთხეს უარყოფს (Lieberman & Chaiken, 1992; Petty & Cacioppo, 1986).

დღესდღეობით შიშის შემცველი გზავნილებს საკმაოდ ხშირად იყენებს პროპაგანდა, მათ შორის სოციალურ მედიაში. ემოციურად დატვირთული შინაარსი, განსაკუთრებით შიშის ან ბრავის გამომწვევი გზავნილები, სწრაფად ვრცელდება და ღრმად იბეჭდება მეხსიერებაში, მაშინაც კი, როცა ის ფაქტობრივად არაზუსტია (Brady et al., 2017; Marwick & Lewis, 2017). მაკორექტირებელმა ინფორმაციამ შესაძლოა შეამციროს შეცდომაში შემყვანი განცხადებების სანდოობა, თუმცა მისი ეფექტურობა დამოკიდებულია დროზე, სიხადესა და აუდიტორიის მახასიათებლებზე (Guess et al., 2020; Nyhan & Reifler, 2010).

მიუხედავად არსებული კვლევებისა, მწირია მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს შიშის შემცველი და მისი მაკორექტირებელი გზავნილები საქართველოში. აღნიშნული საკითხის შესასწავლად, წინამდებარე კვლევა ერთმანეთს ადარებს შიშის შემცველი გზავნილის, შიშისა და მაკორექტირებელი ინფორმაციის შემცველი გზავნილისა და საკონტროლო ჯგუფის პირობას (გზავნილის გარეშე), რათა გავიგოთ შიშისა და მაკორექტირებელი ინფორმაციის რეალური გავლენა საზოგადოებრივ აზრზე.

მეთოდოლოგია

მონაცემების შეგროვება

კვლევის მიზნების მისაღწევად, CRRC-საქართველომ 2025 წლის დეკემბერში სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის ეროვნული მასშტაბის სატელეფონო გამოკითხვა ჩაატარა. კვლევაში გამოყენებული იყო მარტივი ალბათური შერჩევის დიზაინი – სატელეფონო ნომრების შემთხვევითი გენერირების მეთოდით (RDD). სულ ჩატარდა 2,240 ინტერვიუ. გამოპასუხების მაჩვენებელმა 17% შეადგინა.

აღწერითი სტატისტიკური ანალიზი ჩატარებულდა შეწონილ მონაცემებზე, რათა უზრუნველყოფილიყო ქართულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლობითობა. შესაბამისად, მიგნებების განზოგადება შესაძლებელია ზრდასრულ მოსახლეობაზე, შერჩევის ცდომილების მიღებული ზღვრების ფარგლებში.

ექსპერიმენტული დიზაინი

სატელეფონო კვლევა მოიცავდა გამოკითხვის ექსპერიმენტს. რესპონდენტები შემთხვევითობის პრინციპით გადანაწილდნენ ხუთი ჯგუფიდან ერთ-ერთში¹. ჯგუფებში განაწილებამ განსაზღვრა, თუ რომელ ნარატივს მოისმენდნენ ისინი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შედეგის გასაზომ კონკრეტულად რომელ კითხვებს დაუსვამდნენ მათ:

- ჯგუფი 1: შიშზე დაფუძნებული გზავნილი ოჯახურ ღირებულებებზე (მაკორექტირებელი ინფორმაციის გარეშე) (N=421).
- ჯგუფი 2: შიშზე დაფუძნებული გზავნილი ოჯახურ ღირებულებებზე + მაკორექტირებელი ინფორმაცია (N=431).
- ჯგუფი 3: შიშზე დაფუძნებული გზავნილი ახალგაზრდების მიგრაციაზე (მაკორექტირებელი ინფორმაციის გარეშე) (N=415).

¹ ექსპერიმენტის შესახებ დეტალური ინფორმაცია აღწერილია დანართში.

- ჯგუფი 4: შიშზე დაფუძნებული გზავნილი ახალგაზრდების მიგრაციაზე + მაკორექტირებელი ინფორმაცია (N=407).
- ჯგუფი 5 (საკონტროლო): გზავნილი არ მიწოდებულა (N=476).

შემთხვევითმა განაწილებამ უზრუნველყო ჯგუფების ეკვივალენტობა დაკვირვებადი და არადაკვირვებადი მახასიათებლების მიხედვით.

შედეგის საზომები

დარწმუნების ეფექტის, როგორც დამოკიდებული ცვლადი შეფასდა ორი კითხვით:

საფრთხის აღქმული ალბათობა (მაგ. საფრთხე ოჯახური ღირებულებების ან ახალგაზრდების მიგრაციაზე), რაც გაიზომა ოთხქულიან რიგის სკალაზე;

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა, რაც ასევე გაიზომა ოთხქულიანი რიგის სკალაზე.

მოცემულ კითხვებს ყველა რესპონდენტმა მათთვის განკუთვნილი გზავნილის მიღების შემდეგ უპასუხა (ან, საკონტროლო ჯგუფის შემთხვევაში, გზავნილის მიწოდების გარეშე).

მონაცემთა ანალიზი

მონაცემები გაანალიზდა ცალმხრივი დისპერსიული ანალიზის (ANOVA) გამოყენებით. ექსპერიმენტულ ჯგუფებს შორის საშუალო მაჩვენებლების განსხვავებები შემოწმდა ცალ-ცალკე თითოეული დამოკიდებული ცვლადისთვის, რათა გამოვლენილიყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები შიშის შემცველი გზავნილის საფრთხის სანდობასა და ევროკავშირის მხარდაჭერაში. ამ მიდგომამ შესაძლებელი გახადა მხოლოდ შიშის შემცველი გზავნილების, შიშისა და მაკორექტირებელი ინფორმაციის შემცველი გზავნილებისა და საკონტროლო პირობის სისტემატური შედარება.

შედეგები


საფრთხის აღქმული ალბათობა ოჯახური ტრადიციების დაკარგვისა და ახალგაზრდების მიგრაციის გაზრდის შესახებ

მონაცემთა ანალიზის მიხედვით, მსგავსი ტენდენცია ვლინდება საფრთხის აღქმაში როგორც ოჯახური ტრადიციების დაკარგვის, ისე ახალგაზრდების მიგრაციის გაზრდის საკითხებთან მიმართებით. ჯგუფებს შორის საშუალო მაჩვენებლებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება. როგორც დიაგრამა [1] გვიჩვენებს, რესპონდენტები „მხოლოდ შიშის“ ($M = 2.10$ ოჯახური ტრადიციებისთვის და $M = 2.55$ ახალგაზრდების

მიგრაციისთვის), „შიშისა და მაკორექტირებელი ინფორმაციის“ ($M = 2.20$ და 2.53) და საკონტროლო ჯგუფებში ($M = 2.13$ და 2.46) საფრთხის აღქმის მსგავს მაჩვენებელს ავლენენ.

საერთო ჯამში, შიშზე დაფუძნებული გზავნილების ზემოქმედებამ, როგორც ცალკე, ასევე მაკორექტირებელ ინფორმაციასთან ერთად, არ შეცვალა ამ გზავნილების საფრთხის აღქმული ალბათობა. კვლევაში გამოყენებული ანტიდასავლური ნარატივები უკვე გარკვეულწილად გავრცელებულია საზოგადოებაში – რესპონდენტთა 52% ახალგაზრდების მიგრაციის ნარატივს სავარაუდოდ მიიჩნევს, ხოლო 36% – ოჯახური ტრადიციების დაკარგვას. ეს სტაბილურობა აისახა ექსპერიმენტულ ანალიზში, სადაც რწმენის საშუალო ქულა ყველა პირობაში უცვლელია. ეს შედეგები მიუთითებს, რომ შიშზე დაფუძნებულ შეტყობინებებს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვთ ამ ნარატივების მიმართ არსებულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებაზე.

დიაგრამა 1




საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა

მონაცემთა ანალიზის მიხედვით, მსგავსი ტენდენცია ვლინდება ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ჯგუფებს შორის ევროინტეგრაციის მხარდაჭერის საშუალო მაჩვენებლებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება. რესპონდენტებმა „მხოლოდ შიშის“ ($M = 3.02$ ოჯახური ტრადიციებისთვის, $M = 3.05$ ახალგაზრდების მიგრაციისთვის), „შიშისა და მაკორექტირებელი ინფორმაციის“ ($M = 3.02$ და 3.12) და საკონტროლო ჯგუფში ($M = 3.11$ ორივე თემისთვის) მხარდაჭერის ძალიან მსგავსი მაჩვენებლები დააფიქსირეს. სანდოობის ინტერვალები ყველა ჯგუფისთვის მნიშვნელოვნად კვეთს ერთმანეთს, რაც მიანიშნებს, რომ მცირე განსხვავებები საშუალო მაჩვენებლებში, სავარაუდოდ, შემთხვევითი ცვალებადობით არის განპირობებული.

საერთო ჯამში, შიშზე დაფუძნებული გზავნილების ზემოქმედებამ, მიწოდებულმა როგორც ცალკე, ისე მაკორექტირებელ ინფორმაციასთან ერთად, არ შეამცირა ევროინტეგრაციის მხარდაჭერა. ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა მაღალი და სტაბილური დარჩა – რესპონდენტთა 73% აცხადებს, რომ მხარს უჭერს

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ეს სტაბილურობა ექსპერიმენტულ ანალიზშიც აისახა, სადაც მხარდაჭერის საშუალო ქულა 4-ქულიან სკალაზე (სადაც 4 = სრულად ვუჭერ მხარს) 3.02-დან 3.11-მდე მერყეობდა. ეს შედეგები მიუთითებს, რომ შიშზე დაფუძნებულ გზავნილებს საზოგადოებრივ განწყობებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

დიაგრამა 2



დასკვნა

ამ კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ევროინტეგრაციის შესახებ შიშზე დაფუძნებულ გზავნილებს, როგორც ოჯახური ტრადიციების, ისე ახალგაზრდების მიგრაციის შესახებ, საზოგადოებრივ განწყობებზე, მათ შორის ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერაზე, გავლენა არ ჰქონდა.

ეს შედეგები დიდწილად შეიძლება აიხსნას საინფორმაციო გარემოს გაჯერებულობით. როგორც შესავალში აღინიშნა, ქართული საზოგადოება წლებია ამ კონკრეტული ანტიდასავლური ნარატივების გემოქმედების ქვეშ იმყოფება. დროთა განმავლობაში „ოჯახური ტრადიციების დაკარგვისა“ და „მასობრივი მიგრაციის“ შესახებ გზავნილების ხშირმა გამეორებამ, სავარაუდოდ, ჩამოაყალიბა მყარი, რეზისტენტული განწყობები. როდესაც რწმენები მყარად არის ჩამოყალიბებული, არსებული განწყობების დასაცავად, აუდიტორია ხშირად მიმართავს „მოტივირებულ მსჯელობას“, ნაცვლად იმისა, რომ ეს შეხედულებები შეცვალოს, და უარყოფს იმ ერთჯერად ექსპერიმენტულ ჩარევას, რომელიც მათში დამკვიდრებულ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება.

მეორე მხრივ, დაკვირვებადი ეფექტების არარსებობა შესაძლოა მეთოდოლოგიური შეზღუდვებთან იყოს დაკავშირებული. შესაძლებელია, რომ ექსპერიმენტულმა დიზაინმა ვერ უზრუნველყო საკმარისი განსხვავება ჯგუფებს შორის გზავნილის ინტენსივობის თვალსაზრისით. „მხოლოდ შიშისა“ და „შიშისა და მაკორექტირებელი ინფორმაციის“ შემცველი ტექსტები შესაძლოა არ ყოფილიყო საკმარისად განსხვავებული მკაფიო ფსიქოლოგიური ეფექტის მისაღებად. გარდა ამისა, მაკორექტირებელი ინფორმაციის შემცველი ჯგუფების მონაწილეები შესაძლოა

არაპროპორციულად ფოკუსირდნენ თავდაპირველ საფრთხეზე (შიშის კომპონენტზე) და უგულებელყვეს შემდგომი კორექცია – ფენომენი, როდესაც შიშის ემოციური სიმძაფრე ჩრდილავს ფაქტობრივ შესწორებას.

საერთო ჯამში, ეს კვლევა ხაზს უსვამს საქართველოში ევროკავშირის წევრობის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მდგრადობას. მიუხედავად იმისა, რომ შიშზე დაფუძნებული პროპაგანდა პოლიტიკური ლანდშაფტის ჩვეული მახასიათებელია, მისი უნარი, შეცვალოს კონსოლიდირებული საზოგადოებრივი აზრი (ყოველ შემთხვევაში, მოკლევადიანი ჩარევის გზით), შეზღუდულია.

ბიბლიოგრაფია:

Brady, W. J., Wills, J. A., Jost, J. T., Tucker, J. A., & Van Bavel, J. J. (2017). Emotion shapes the diffusion of moralized content in social networks. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 114(28), 7313–7318. <https://doi.org/10.1073/pnas.1618923114>

Guess, A. M., Nyhan, B., & Reifler, J. (2020). Exposure to untrustworthy websites in the 2016 U.S. election. *Nature Human Behaviour*, 4(5), 472–480. <https://doi.org/10.1038/s41562-020-0833-x>

Hovland, C. I., Janis, I. L., & Kelley, H. H. (1953). *Communication and persuasion: Psychological studies of opinion change*. Yale University Press.

Janis, I. L., & Feshbach, S. (1953). Effects of fear-arousing communications. *The Journal of Abnormal and Social Psychology*, 48(1), 78–92. <https://doi.org/10.1037/h0058250>

Kunda, Z. (1990). The case for motivated reasoning. *Psychological Bulletin*, 108(3), 480–498. <https://doi.org/10.1037/0033-2909.108.3.480>

Liberman, A., & Chaiken, S. (1992). Defensive processing of personally relevant health messages. *Personality and Social Psychology Bulletin*, 18(6), 669–679. <https://doi.org/10.1177/0146167292186002>

Marwick, A., & Lewis, R. (2017). *Media manipulation and disinformation online*. Data & Society Research Institute.

Nyhan, B., & Reifler, J. (2010). When corrections fail: The persistence of political misperceptions. *Political Behavior*, 32(2), 303–330. <https://doi.org/10.1007/s11109-010-9112-2>

Petty, R. E., & Cacioppo, J. T. (1986). *Communication and persuasion: Central and peripheral routes to attitude change*. Springer-Verlag.

Taber, C. S., & Lodge, M. (2006). Motivated skepticism in the evaluation of political beliefs. *American Journal of Political Science*, 50(3), 755–769. <https://doi.org/10.1111/j.1540-5907.2006.00214.x>

Witte, K. (1992). Putting the fear back into fear appeals: The extended parallel process model. *Communication Monographs*, 59(4), 329–349. <https://doi.org/10.1080/03637759209376276>

დანართი

1. „შიშის ექსპერიმენტის“ პროტოკოლი

კვლევაში გამოყენებული იყო ხუთკომპონენტიანი რანდომიზებული კონტროლირებადი დიზაინი. ოთხ ექსპერიმენტულ ჯგუფს მიეწოდა კონკრეტული ნარატივები (ორი – ოჯახურ ღირებულებებზე, ორი – მიგრაციაზე), ხოლო მეხუთე, საკონტროლო ჯგუფს არ მიუღია არანაირი ნარატივი და უპასუხა მხოლოდ შედეგზე ორიენტირებულ კითხვებს.

ექსპერიმენტული სტიმულები

თემა A: ოჯახური ღირებულებები

ჯგუფი 1: მხოლოდ შიში

“ახლა წაგიკითხავთ მოკლე ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ამტკიცებენ, თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, ეს გამოიწვევს ოჯახთან დაკავშირებული კანონების შეცვლას და ქალის და კაცის ტრადიციული როლების გაუფასურებას.”

ჯგუფი 2: შიში + კორექცია

“ახლა წაგიკითხავთ მოკლე ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ამტკიცებენ, თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, ეს გამოიწვევს ოჯახურ ღირებულებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლას და ქალის და კაცის ტრადიციული როლების დაკნინებას. თუმცა, ფაქტები ამტკიცებენ, რომ ეს ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება და ოჯახთან დაკავშირებულ კანონებს ყველა ქვეყანა დამოუკიდებლად იღებს.”

თემა B: ახალგაზრდების მიგრაცია

ჯგუფი 3: მხოლოდ შიში

“ახლა წაგიკითხავთ მოკლე ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ამტკიცებენ, თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი და ქართველებს თავისუფლად შეეძლებათ ევროპაში დასაქმება, ეს გამოიწვევს ახალგაზრდების მასობრივ მიგრაციას და ქვეყანა ახალგაზრდებისგან დაიცლება.”

ჯგუფი 4: შიში + კორექცია

„ახლა წაგიკითხავთ მოკლე ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ამტკიცებენ, თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი და ქართველებს თავისუფლად შეეძლებათ ევროპაში დასაქმება, ეს ახალგაზრდების მასობრივ მიგრაციას გამოიწვევს და ქვეყანა ახალგაზრდებისგან დაიცლება. თუმცა, ფაქტები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ პირობებს, რაც, ამცირებს ახალგაზრდების მიგრაციას.”

შედეგის საზომები (საკვლევი კითხვები)

რესპონდენტებს ჯგუფებში განაწილების მიხედვით დაესვათ შემდეგი კითხვები:

Q1. ოჯახური ტრადიციებისთვის საფრთხის აღქმა

დაესვათ: საკონტროლო ჯგუფს, 1-ელ და მე-2 ჯგუფებს

„თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება საფრთხეს შეუქმნის ოჯახურ ტრადიციებსა და ღირებულებებს?“

(1) საერთოდ არ არის მოსალოდნელი; (2) ნაკლებად მოსალოდნელია; (3) მეტად მოსალოდნელია; (4) სრულიად მოსალოდნელია. (-1 არ ვიცი; -2 უარი პასუხზე)

Q2. ახალგაზრდების მიგრაციის საფრთხის აღქმა

დაესვათ: საკონტროლო ჯგუფს, მე-3 და მე-4 ჯგუფებს

„თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მასობრივ მიგრაციას?“

(1) საერთოდ არ არის მოსალოდნელი; (2) ნაკლებად მოსალოდნელია; (3) მეტად მოსალოდნელია; (4) სრულიად მოსალოდნელია. (-1 არ ვიცი; -2 უარი პასუხზე)

Q3. ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა

დაესვათ: ხუთივე ჯგუფს

„რამდენად უჭერთ ან არ უჭერთ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?“

(1) საერთოდ არ ვუჭერ მხარს; (2) უფრო მეტად არ ვუჭერ მხარს, ვიდრე ვუჭერ; (3) უფრო მეტად ვუჭერ მხარს, ვიდრე არ ვუჭერ; (4) სრულად ვუჭერ მხარს. (-1 არ ვიცი; -2 უარი პასუხზე)

ექსპერიმენტული დიზაინის შეჯამება

ჯგუფი	შეიტყობინება	მაპორჩქმთრებელი ინფორმაცია	კითხვები
1	ოჯახური ღირებულებები	არა	Q1, Q3
2	ოჯახური ღირებულებები	დიახ	Q1, Q3
3	ახალგაზრდების მიგრაცია	არა	Q2, Q3
4	ახალგაზრდების მიგრაცია	დიახ	Q2, Q3
5 (საკონტროლო)	არცერთი	არცერთი	Q1, Q2, Q3

2. აღწერითი სტატისტიკა (სიხშირეები)

ცხრილი 1: ოჯახური ტრადიციებისთვის საფრთხის აღქმა (%)

„თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება საფრთხეს შეუქმნის ოჯახურ ტრადიციებსა და ღირებულებებს? დაესვათ: საკონტროლო ჯგუფს, 1-ელ და მე-2 ჯგუფებს

პასუხის ვარიანტები	პროცენტი (%)
1- საერთოდ არ არის მოსალოდნელი	37.30
2- ნაკლებად მოსალოდნელია	26.80
3- მეტად მოსალოდნელია	21.26
4- სრულიად მოსალოდნელია	14.63
ჯამი	100.00

ცხრილი 2: ახალგაზრდების მიგრაციის აღქმული საფრთხე (%)

“თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მასობრივ მიგრაციას?” დაესვათ: საკონტროლო ჯგუფს, მე-2 და მე-4 ჯგუფებს

პასუხის ვარიანტები	პროცენტი (%)
1- საერთოდ არ არის მოსალოდნელი	17.40
2- ნაკლებად მოსალოდნელია	30.68
3- მეტად მოსალოდნელია	34.79
4- სრულიად მოსალოდნელია	17.13
ჯამი	100.00

ცხრილი 3: ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ მხარდაჭერა (%)

“რამდენად უჭერთ ან არ უჭერთ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?” დაესვათ: ხუთივე ჯგუფს

პასუხის ვარიანტები	პროცენტი (%)
1- საერთოდ არ ვუჭერ მხარს	14.19
2- უფრო მეტად არ ვუჭერ მხარს, ვიდრე ვუჭერ	12.72
3- უფრო მეტად ვუჭერ მხარს, ვიდრე არ ვუჭერ	26.03
4- სრულად ვუჭერ მხარს	47.05
ჯამი	100.00